

დეზინფორმაცია

საქართველოსა და მსოფლიოში, ახალი კორონავირუსის პანდემიას, თან სდევს მძლავრი დეზინფორმაციული ნაკადი, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, ჯერ კიდევ პანდემიის გამოცხადებამდე უწოდა ინფოდემია¹. ეს კი მედიასამუშალებებს ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს - გაიღონ განსაკუთრებული ძალისხმევა ინფორმაციის გადასამოწმებლად, ფაქტობრივად, პანდემიის პირობებში თითქმის ყველა მედიას უწევს ე.წ. ფაქტჩეკერის როლი მოიგოს.

დეზინფორმაცია რამდენიმე მიმართულებით ვრცელდება. ერთ-ერთი, ყველაზე საშიში და მძლავრი დეზინფორმაციული კამპანია ახალი კორონავირუსული ინფექციის მასშტაბურად გავრცელებისთანავე დაიწყო და ის ვირუსის წარმოშობას უკავშირდება. ვირუსის პირველი შემთხვევების დაფიქსირებიდან დღემდე, ინტერნეტსივრცეში არაერთი კონსპირაციული თეორია გავრცელდა და ამ თეორიებმა ბანანებიდან „მსოფლიოს მოსახლეობის დაჩიპვამდე“ მიაღწია. სოციალური ქსელის სხვადასხვა ჯგუფში ასობით მომხმარებელი ირწმუნება, რომ კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი იარაღია ადამიანებზე კონტროლის დასამყარებლად, ან/კიდევ ვირუსი მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტის 5G-ის ანტენებიდან ვრცელდება. ეს ჯგუფები ხალხს მასობრივი პროტესტის ორგანიზებისკენ მოუწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ ვირუსის პირველი შემთხვევების დაფიქსირებიდან ნახევარი წლის შემდეგაც, ეს კონსპირაციული თეორიები დღემდე აქტუალურია და ისეთივე მასშტაბური გავრცელებით ხასიათდება, როგორც თავად ვირუსი.

ინფოდემია - მოზღვავებული ინფორმაცია, დიდი მოცულობის ინფორმაციის ტალღა, რომელსაც ხშირად თან ახლავს დამახინჯებული და მცდარი ცნობები გაჩენილი/შექმნილი კორონავირუსის პანდემიის ფონზე

თუმცა, ვირუსის წარმოშობა არ არის ერთადერთი, რის შესახებაც ინტერნეტ სივრცეში არაერთი შეთქმულების თეორია იძებნება. დეზინფორმაცია, ვირუსის დაფიქსირების დღიდან აქტიურად ვრცელდება ვირუსის საპრევენციო და სამკურნალო საშუალებებზე, იქნება ეს მედიკამენტები თუ ხალხური სამკურნალო საშუალებები. ამგვარი ინფორმაცია კი განსაკუთრებულად საშიშია, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას.

¹ WHO, 2.02.2020, <https://bit.ly/2Vkl9bw>,

შეთქმულების თეორიები ვირუსის გავრცელებაზე

კონსპირაციული თეორია, რომ ახალი კორონავირუსი ბიოლოგიური იარაღია და ის ხელოვნურად შეიქმნა, ერთ-ერთი პირველი იყო ვირუსის შესახებ გავრცელებულ მითებს შორის. ეს თეორია Covid-19-ის გაჩენიდან მალევე გაჩნდა და ვირუსულად გავრცელდა. აღნიშნული თეორია, დასაწყისიდანვე, ორი მიმართულებით ვრცელდებოდა. კონსპიროლოგების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ ახალი კორონავირუსი ვუჰანის ლაბორატორიაში შეიქმნა, მეორე ნაწილი კი ირწმუნებოდა, რომ Covid-19 „ამერიკულ ლაბორატორიებშია“ შექმნილი. ამ ნარატივში არაერთხელ მოხვდა საქართველოში მოქმედი რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიაც.

„ლუგარის ლაბორატორია, მისი დაარსების დღიდან დღემდე, ალბათ 100-მდე შეთქმულების თეორიაში გვხვდება“, - ამბობს ეთო ბუზიაშვილი, ამერიკის ატლანტიკური საბჭოს ასოცირებული მკვლევარი, რომელიც პანდემიის პერიოდში აკვირდება და იკვლევს ვირუსთან დაკავშირებულ დეზინფორმაციის კამპანიას.

ეთო ბუზიაშვილი, იმ დეზინფორმაციულ კამპანიაში, რაც მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება, რუსულ კვალზე გვესაუბრება. მკვლევარი ამბობს, რომ ეს არის ჰიბრიდული ომი დასავლეთის წინააღმდეგ და ამ ომში, ერთ-ერთი მიმართულება არის საქართველოც, რომლის სწრაფვა დასავლეთისკენ, რუსეთისთვის ძალიან მიუღებელია: „ეს არ არის ახალი, საბჭოთა კავშირის დროიდან მოდის, უბრალოდ, კრემლმა მეთოდები დახვეწა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ეს ყველაფერი ნელი ტემპით ხდებოდა, რადგან არ იყო ინტერნეტი, ახლა კი ერთი „კლიკა“ საჭირო იმისათვის, რომ შედეგს მიაღწიო და დიდ აუდიტორიაზე გახვიდე“.

ეთო ბუზიაშვილი კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციული კამპანიის კვლევისას აღმოჩენილ საინტერესო მიგნებებს გვიზიარებს:

„როდესაც ნარატივების კვლევა დავიწყეთ, დავინახეთ მსგავსება ძველ კამპანიასთან, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩაატარა 1983 წელს და ცნობილია სახელწოდებით „ოპერაცია ინფექცია“, იგივე, შიდსის დეზინფორმაციის კამპანია. ამ ოპერაციის არსი იყო ის, რომ აშშ-ს დააბრალეს თითქოს მათ შიდსი შექმნეს ხელოვნურად და ეს იყო ამერიკის ბიოლოგიური პროგრამის ნაწილი. ეს ნარატივი ძალიან დიდხანს ტრიალებდა. მხოლოდ 11 წლის მერე, რუსეთის უშიშროების სამსახურის მაშინდელმა ხელმძღვანელმა აღიარა, რომ ეს იყო საბჭოთა კავშირის მიერ დაგეგმილი დეზინფორმაციის კამპანია. და, ცხადია, საინტერესოა როგორ მოხდა ეს, - ჯერ დაიწერა ნაკლებად ცნობილ ინდურ გაზეთში, ცხადია, რუსეთის დაკვეთით, შემდეგ, წლების მერე გადმოთარგმნა რუსულმა გაზეთმა, ჯერ ნაკლებად ცნობილმა, მერე შედარებით ცნობილმა და ბოლოს ამ ვერსიის გაჟღერება დაიწყო პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა“.

მკვლევარი ამბობს, რომ ზუსტად ეს გზა გაიარა დეკემბერ-იანვარში რუსულმა ნარატივმა, თითქოს კორონავირუსი შექმნილი იყო ამერიკის მიერ.

„ჩვენ უკან მივყევით ამ ნარატივს და მოვიძიეთ, როდის ახსენეს პირველად კორელაციაში კორონავირუსი და ამერიკა. აღმოვაჩინეთ, რომ პირველად ეს დაიწერა ნაკლებად ცნობილ მედიაში, - თითქოს ბიოლოგიური იარაღის პროგრამის ფარგლებში ამერიკელებმა შექმნეს ახალი ვირუსი, რომლის სახელია კორონავირუსი. შემდეგ მოხდა ამ ინფორმაციის გათეთრება, იგივე პრინციპით, როგორც ფულის გათეთრება ხდება, - ნაკლებად ცნობილიდან გადაინაცვლა მეტად ცნობილში და შემდეგ პოლიტიკოსებში, და, რა თქმა უნდა, პირველი იყო ვლადიმერ ჟირინოვსკი, რუსი დეპუტატი, რომელიც არის ყოველთვის პირველი გამხმოვანებელი ასეთი გზავნილების. შემდეგ კი ცხადია, რომ ეს ნარატივი ბევრ ენაზე ითარგმნა, რადგან კრემლმა იცის, რომ თუ უნდა კონკრეტულ ქვეყანას მიწვდეს, მის ენაზე უნდა გაავრცელოს“.

მეორე მითი, რომ კორონავირუსის გავრცელება **მაღალსიჩქარიანი უკაბელო ინტერნეტის ანძებს** უკავშირდება, ახლა ყველაზე სწრაფად და ფართოდ გავრცელებადი თეორიაა. ეთო ბუზიაშვილის დაკვირვებით, ამ კონსპირაციის პირველწყარო არის Russia Today, რომელიც კრემლის ყველაზე ძლიერი პროპაგანდისტული გამოცემაა. 5G-ის მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი არის ის, რომ „მაღალი გამოსხივება, რომელიც ამ ანტენებს აქვთ, ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს იწვევს. მაგალითად, ანგრევს ადამიანის იმუნურ სისტემას“. სოციალურ ქსელში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მოწინააღმდეგეთა უკვე მრავალათასიანი არაერთი ჯგუფი იძებნება და ამ ჯგუფებში უამრავი დეზინფორმაცია ვრცელდება.

„თეორია, რომ 5G ტექნოლოგია იწვევს სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის გართულებებს ჯერ კიდევ 2016 წლიდან ცირკულირებს საინფორმაციო სივრცეში. თავდაპირველად ამგვარი მოსაზრებები გაჩნდა ფორუმებსა და YouTube-ზე, თუმცა მალევე აიტაცეს ისეთმა წყაროებმა, როგორებიცაა Infowars, ამერიკული რადიკალური მემარჯვენე ვებგვერდი, რომელიც აქტიურად ავრცელებს კონსპირაციის თეორიებსა და ყალბ ნიუსებს, და RT⁴, რუსეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სატელევიზიო ქსელი. RT აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას, რომ 5G შეიძლება გლობალურ კატასტროფად იქცეს, რადგან იწვევს სიმსივნეს ადამიანებსა და ცხოველებში⁵, - ვკითხულობთ მცირე კვლევაში, რომელიც 27 მაისს, ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა.

მესამე შეთქმულების თეორია, რომელიც ვირუსის დაწყებიდან დღემდე არანაკლები ინტენსივობით ვრცელდება, ვიდრე პირველი ორი, კომპანია Microsoft-ის დამფუძნებელს, ამერიკელ ბიზნესმენ **ბილ გეიტსს ეხება**. მისი დაკავშირება ვირუსთან იანვრიდანვე დაიწყო. The New York Times-ი აპრილში წერდა⁶, რომ ახლა აშშ-ში კორონავირუსის

³ <https://www.infowars.com/>

⁴ <https://www.rt.com/>

⁵ 5G ტექნოლოგია, რუსული დეზინფორმაცია და კორონავირუსი, 27.05.2020, <https://bit.ly/2YyKr7Q>

⁶ Bill Gates, at Odds With Trump on Virus, Becomes a Right-Wing Target, 17.04.2020, <https://nyti.ms/31jPxGU>

შესახებ გავრცელებულ ცრუ ინფორმაციებს შორის, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ბილ გეიტსთან დაკავშირებული დეზინფორმაციაა.

64 წლის ფილანტროპს, ფეისბუქში, ტვიტერსა და იუთუბზე ხშირად მოიხსენიებენ როგორც „სპეკულიანტს, რომელსაც მოსახლეობის დაჩიპვა და ამ გზით მათზე კონტროლის დამყარება სურს“. ამ თეორიის მიმდევრები ირწმუნებიან, რომ ბილ გეიტსმა პანდემიის შესახებ წინასწარ იცოდა და ამ მოსაზრების გასამყარებლად 2015 წელს, ბიზნესმენის TED-ზე გამოსვლას⁷ იმოწმებენ.

ამ გამოსვლაში გეიტსი ებოლას ეპიდემიის შესახებ საუბრობს და ამბობს, რომ არ არის გამორიცხული რომელიმე უფრო გადამდებმა დაავადებამ მსოფლიო პანდემია გამოიწვიოს. იგი ხაზს უსვამს, ერთი მხრივ მსოფლიოს მოუმზადებლობას რომელიმე ასეთი ვირუსისადმი, და მეორე მხრივ ვერსიას, რომ შესაძლოა ვირუსი დასაწყისში უსიმპტომო მიმდინარეობის იყოს. ბილ გეიტსზე შექმნილი კონსპირაციების ავტორები ირწმუნებიან, რომ კორონავირუსის პანდემია „საუკეთესო საბაბია იმისათვის, რომ ხალხს ბილ გეიტსის მიერ შექმნილი მიკროჩიპები ჩაუყენონ. ამ გზით კი ადამიანების გაკონტროლებას შეძლებენ“.

„ასეთ დროს, როდესაც მსოფლიო ჯანდაცვისა და ეკონომიკის უპრეცედენტო კრიზისის წინაშეა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც დეზინფორმაციას ავრცელებენ. მაშინ, როდესაც ჩვენ უნდა ვეძებდეთ თანამშრომლობის გზებს სიცოცხლის გადასარჩენად. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ შევაჩეროთ Covid-19-ის გავრცელება, ფაქტების გავრცელებაა“, - განაცხადა ბილ გეიტსმა BBC-სთან ინტერვიუში⁸, მასზე გავრცელებული დეზინფორმაციების პასუხად.

ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი დეზინფორმაცია

ვირუსის გავრცელებიდან დღემდე, სოციალურ ქსელებში, პერიოდულად ვრცელდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც ადამიანებს ასწავლის როგორ შეამოწმონ აქვთ თუ არა ვირუსი, ასევე, ურჩევს სხვადასხვა მეთოდს ვირუსის საპრევენციოდ და სამკურნალოდ. ეს მითები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა და რიგ შემთხვევებში ადამიანების ჯანმრთელობასაც შეუქმნა საფრთხე.

მაგალითად, ჯერ კიდევ მარტში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სუნთქვის შეკავებით კორონავირუსის დიაგნოსტირებაა შესაძლებელი. სოციალურ ქსელში ასეთი ინფორმაციის წყაროდ ძირითადად იაპონელი ან ტაივანელი ექიმები, ზოგ შემთხვევაში სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევრები არიან დასახელებული. მითის თანახმად, თუ

⁷ The next outbreak? We're not ready | Bill Gates, 03.04.2015, <https://bit.ly/2BCz6L8>

⁸ How Bill Gates became the voodoo doll of Covid conspiracies, 06.06.2020, <https://bbc.in/3dyLoBt>

ადამიანი ღრმად ჩასუნთქვის შემდეგ სუნთქვას 10 და მეტი წამის განმავლობაში ისე შეიკავებს, რომ არ დაახველებს, მაშინ მას Covid-19 არ აქვს. ხშირად ამ მითს თან ახლავს რეკომენდაცია, რომ დასახელებული მეთოდით ადამიანებმა თავი ყოველ დილით სუფთა ჰაერზე უნდა შეიმოწმონ.

აქნიშნული დეზინფორმაციული ნაკადი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ სოციალურ ქსელ TikTok-ზე გამოწვევად იქცა. მომხმარებლები #Corona10secchallenge⁹ და #NoCoronaTestChallenge¹⁰ ჰემთეგებით ვიდეოებს ტვირთავენ, რომელშიც სუნთქვას 10 წამის განმავლობაში იკავებენ. ასეთ ვიდეოებს საერთო ჯამში 10 მილიონზე მეტი ნახვა აქვს.

სინამდვილეში, სუნთქვის შეკავებით კორონავირუსის დიაგნოსტიკა შეუძლებელია. Reuter-თან საუბრისას ინფექციური დაავადებების სპეციალისტმა ტომას ნაშიმ "სუნთქვის ტესტს" გამოგონილი უწოდა¹¹. მერილენდის უნივერსიტეტში ინფექციური დაავადებების მიმართულების ხელმძღვანელის ფაჰიმ იუნესის განმარტებით¹², Covid-19-ის მქონე ახალგაზრდა პაციენტების უმრავლესობას სუნთქვის შეკავება 10 წამზე მეტ ხანს შეუძლია, ხოლო მოხუცები, რომელთაც ვირუსი არ აქვთ, დიდი ალბათობით, ვერ შეძლებენ სუნთქვა დიდხანს შეიკავონ, შესაბამისად ვირუსის დადგენა ამ მეთოდით არასწორია. გავრცელებულ მითს Twitter-ზე გამოეხმაურა¹³ სტენფორდის უნივერსიტეტიც და გავრცელებულ დეზინფორმაციასთან უნივერსიტეტის კავშირი უარყო.

კიდევ ერთი მითი, რაც ვირუსის გავრცელებისთანავე გავრცელდა, ვირუსის საპრევენციოდ ცხელი წყლის დალევა შეეხებოდა. აღნიშნული რეკომენდაციები ხშირად გვხვდებოდა ქართულ მედიაშიც. გავრცელებული დეზინფორმაციის დაჯერების გამო, საქართველოში რამდენიმე ადამიანი დამწვრობის ცენტრში მოხვდა. 16 აპრილს თბილისის დამწვრობის ცენტრის დირექტორმა გუგა ქაშიბაძემ ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთთან“ განაცხადა, რომ კორონავირუსის წინააღმდეგ პროფილაქტიკის მიზნით რამდენიმე მოქალაქემ ადუღებული წყალი დალია, რის შედეგადაც მათი ნაწილს პირის ღრუს დამწვრობის გამო ამბულატორიული მკურნალობა დასჭირდა¹⁴.

სინამდვილეში, კი Covid -19-ის გამომწვევი ვირუსის Sars-CoV-2-ის პრევენციისა და მისი დამარცხების მიზნით ცხელი წყლის დალევა რეკომენდებული არ არის. "ჯანდაცვის

⁹ <https://www.tiktok.com/tag/corona10secchallenge>

¹⁰ <https://www.tiktok.com/tag/nocoronatestchallenge>

¹¹ False claim: Doctors offer advice for preventing COVID-19, symptoms like coughing and fever indicate pulmonary fibrosis, fibrosis is detectable by holding your breath for 10 seconds, drinking water every 15 minutes repels coronavirus, Reuters, 17.03.2020. <https://reut.rs/3g66itz>

¹² <https://bit.ly/3g0GpuU>

¹³ <https://bit.ly/2Z8AUDS>

¹⁴ კორონავირუსის პრევენციის მიზნით რამდენიმე პირმა ადუღებული წყლით პირი დაიწვა – ქაშიბაძე, 16.04.2020, <https://bit.ly/3eDe9OS>

მსოფლიო ორგანიზაციის" ინფორმაციით¹⁵, SARS კორონავირუსი (Sars-CoV-2-ის მსგავსი ვირუსი) მინიმუმ 56C-ზე კვდება. საკვების მაღალ ტემპერატურაზე მომზადებით, ვირუსი მოკვდება, თუმცა ეს ტემპერატურა იმდენად მაღალია ადამიანის ორგანიზმისთვის, რომ მისი პირდაპირ მიღება დამწვრობას გამოიწვევს.

ჯანმრთელობისთვის საშიშ მითებს შორის იყო სახიფათო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეთილის სპირტის გამოყენება კორონავირუსის პრევენციის ან/და მკურნალობის საშუალებაა. მეთილის სპირტის იგივე მეთანოლის შესახებ გავრცელებულმა დეზინფორმაციამ ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა. "ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის" განმარტებით, მეთანოლი სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერებაა, მას არ შეუძლია კორონავირუსის დაავადების განკურნება და მისი მიღება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

შეთქმულების ეს თეორიები, თუ მცდარი და სახიფათო სამკურნალო და საპრევენციო საშუალებები მცირე ჩამონათვალია იმ დეზინფორმაციული ნარატივის, რაც კორონავირუსის გავრცელებას ახლავს თან.

„როდესაც ხალხი შეშინებული და დაპანიკებულია, მაშინ კონსპირაციის თეორიებისთვის აუდიტორია მეტად მოწყვლადია. რატომ სჯერათ ადამიანებს? იმიტომ, რომ დეზინფორმაციულ მასალაში შეიძლება ინფორმაციის 99% სიმართლე იყოს და მხოლოდ 1% ტყუილი. ადამიანები ხედავენ, რომ რაღაც სახის სიმართლე ამ ინფორმაციაში არის და უჭირთ გაარჩიონ, რა არის მითი და რა რეალობა“, - ამბობს ეთო ბუზიაშვილი.

ამ ყველაფრის ფონზე, ფაქტჩეკერები მედიაგამოცემებს ურჩევენ, რომ გააძლიერონ ძალისხმევა ინფორმაციის გადასამოწმებლად, განსაკუთრებულად, თუ ეს ინფორმაცია ადამიანების ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული. ეთო ბუზიაშვილი იხსენებს ზემოთ აღწერილ სქემას, რა სქემითაც კრემლი მოქმედებს დეზინფორმაციის გავრცელებისას და ჟურნალისტებს ურჩევს, დახარჯონ დრო, მაგრამ ყოველთვის იპოვონ ინფორმაციის პირველწყარო.

„ინფოდემიისგან“ თავის დასაცავად, პანდემიის პერიოდში რჩევები არაერთმა ორგანიზაციამ გაავრცელა. მაგალითად, Poynter-ი ახალი ამბების აუდიტორიას რამდენიმე მარტივ რჩევას სთავაზობს¹⁶.

1. ნუ გააზიარებთ Covid-19-ის შესახებ ინფორმაციას მაშინვე, როგორც კი ნახავთ, განსაკუთრებით თუ ის სკანდალურია. აუცილებელად გადაამოწმეთ რამდენად რეალურია ამბავი.

¹⁵ WHO, <https://bit.ly/2Zds4ob>

¹⁶ Here is the best treatment you'll ever get for the COVID-19 infodemic, 25.04.2020. <https://bit.ly/2Vo8TH9>

2. შეამოწმეთ წყარო - მნიშვნელოვანია რაზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია. კორონავირუსის შესახებ სანდო წყაროებია "ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია", აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი, ასევე ჯანდაცვის ადგილობრივი ოფიციალური ორგანოები.

3. უფრო მეტად ენდეთ მეცნიერებს, ვიდრე პოლიტიკოსებს - უკვე არაერთი შემთხვევა დაგროვდა, როდესაც პოლიტიკოსებმა კორონავირუსთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი განცხადებები გაავრცელეს. ამის მიზეზი შესაძლოა პოლიტიკური მიზნები ან უბრალოდ ამ საკითხთან დაკავშირებით არაკომპეტენტურობა იყოს. თუ ინფორმაციის წყარო პოლიტიკოსია, იყავით სკეპტიკურები და გადაამოწმეთ მათი ნათქვამი.

4. დააკვირდით თქვენს ემოციებს - თუ ინფორმაციის მიღებისას გაქვთ ძლიერი ემოცია, ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ სხვებისთვის გაზიარებამდე, ეს ინფორმაცია უნდა გადაამოწმოს.

5. შეამოწმეთ ფოტოები და ვიდეოები - დეზინფორმაცია ხშირად ვიზუალური მასალით ვრცელდება. ფოტოებისა და ვიდეოების გადასამოწმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ First Draft-ის რესურსები¹⁷, InVid-ი და RevEye.

6. ვირუსთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაცია სანდო წყაროებიდან მიიღეთ.

ეს რეკომენდაციები რელევანტურია იმ ჟურნალისტებისთვისაც, რომლებიც კორონავირუსის თემაზე მუშაობენ და ინტერნეტში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაციის გადამოწმება უწევთ. თუმცა, მათი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, სიღრმისეულად გადაამოწმონ ინფორმაცია, ვიდრე მას თავიანთ პროდუქტში გამოიყენებენ, ცხადია, გაცილებით მეტია.

გიზიარებთ რჩევებს, როგორ ამოვიცნოთ ყალბი ამბავი და როგორ გადავამოწმოთ. პირველი, რასაც პროფესიონალი ფაქტჩეკერები გვირჩევენ, არის ის, რომ კრიტიკულად შევხედოთ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელსაც სოციალურ თუ ტრადიციულ მედიაში წავაწყდებით. ეს კი ნიშნავს:

- **შეამოწმეთ წყარო** - შეისწავლეთ ინფორმაციის გამავრცელებელი. თუ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ამბავს იკვლევთ, გადაამოწმეთ ვებგვერდის მისამართი, დააკვირდით, ხომ არ ცდილობს გამოცემა გააყალბოს რომელიმე სანდო გამოცემა. (მაგ.: არსებობს: abcnews.com.co; NBC.com.co, Times.com.mx. აღნიშნული

¹⁷ <https://firstdraftnews.org/verification-toolbox/>

ვებგვერდების მიზანია მკითხველი დააბნოს); ასევე, გადაამოწმეთ წყაროს შესახებ ინფორმაცია განყოფილებაში - „ჩვენს შესახებ“ და „კონტაქტი“. თუკი ინფორმაციის გამავრცელებელი წყაროს ვებგვერდზე მსგავსი სექციები არ არის, მისი სანდოობა საეჭვოა. ყურადღებით გაეცანით გამოცემის „მისიის განაცხადს“, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არ არის სატირული გამოცემა.

- **დააკვირდით სათაურს** - თუ ის იწვევს გამდაფრებულ ემოციებს, ალბათობა, რომ ყალბ ამბავთან გაქვთ საქმე, დიდია.
- **შეამოწმეთ სტატიის ავტორი** - აუცილებელია, შეამოწმოთ მითითებული აქვს თუ არა სტატიას ინფორმაცია ავტორის შესახებ. ხშირად, ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი ორგანიზაციები არ უთითებენ ავტორს. თუკი მითითებულია, მოძებნეთ მის შესახებ ინფორმაცია და დარწმუნდით, რამდენად სანდო შეიძლება იყოს ავტორი. მოიძიეთ მისი სხვა სტატიები.
- **შეისწავლეთ სტატია** - გადაამოწმეთ რას ეყრდნობა ავტორი: თარიღი, წყაროები, ბმულები. როგორც წესი, ყალბი ამბის გამავრცელებელი ორგანიზაციები არ უთითებენ ამ ტიპის ინფორმაციას. ისინი იყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: „ექსპერტების თანახმად“, „მკვლევარების დასკვნით“, თუმცა არ გვისახელებენ პიროვნებებს და არ უთითებენ იმ კვლევას, რაზეც საუბრობენ.
- **მოძებნეთ ალტერნატიული წყარო** - მოიკვლიეთ ამ კონკრეტულ ინფორმაციაზე რა ცნობები მოიპოვება სხვა წყაროებში.
- **გადაამოწმეთ ინფორმაცია ფაქტების გადამამოწმებელ ორგანიზაციებში** - თუკი თქვენ არ გაქვთ დრო გადაამოწმების, შეგიძლიათ გადაამოწმებისათვის მიმართოთ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფაქტების გადამამოწმებით არიან დაკავებული.
- **დააკვირდით, ხომ არ არის ფოტო/ვიდეო გაყალბებული, ან მანიპულაციური** - არსებობს რამდენიმე პლატფორმა ფოტოების გადამამოწმებლად: Images.google.com, TinEye, JPEGsnoop, Who stole my pictures. ამ პლატფორმების გამოყენებით თქვენ შეძლებთ, გადაამოწმოთ ფოტოს ორიგინალობა, შეამოწმოთ დამუშავებულია თუ არა ფოტო ან აღწერს თუ არა ნამდვილად იმ მოვლენას, რაც ფოტოს აღწერაში იყო მითითებული.

ვიდეო მანიპულაციის გადამამოწმება შედარებით რთულია, რადგან არ არსებობს ერთი მარტივი ძებნის სისტემა ან ინსტრუმენტი როგორც ეს ფოტო მანიპულაციის შემთხვევაშია. თუმცა, არსებობს, გარკვეული ინსტრუმენტები ვიდეოს ავთენტურობის შესამოწმებლად. მათ შორისაა, Youtube Data viewer, რომლის

მეშვეობითაც შესაძლებელია ატვირთვისა და გამოქვეყნების თარიღების შემოწმება, ვიდეოდან ფოტო მასალის ამოჭრა და შემდეგ ფოტო მანიპულაციის მსგავსად მისი შემოწმება. (დეტალურად, როგორ გადავამოწმოთ ვიდეო, იხილეთ ბმული¹⁸)

სასარგებლო რესურსები ჟურნალისტებისათვის:

- დეზინფორმაციის მონაცემთა ბაზა კორონავირუსის შესახებ – *FIRSTDRAFT*
- “ფაქტჩეკერები”: *Polygraph, StopFake, Snopes* და *Politifact*
- ფაქტჩეკერები საქართველოში: *მედიაჩეკერი, მითების დეტექტორი, Factcheck.ge*
- ონლაინ გამომძიებლები – *Bellingcat*
- დეზინფორმაციის გამოაშკარავება და განმარტება – *Digital Forensics Lab*

¹⁸ <https://goo.gl/JUjK9q>

